მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი,
ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დამატება,
ანგარიშის პროექტის
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში
ეკოლოგიური ექსპერტიზისთვის წარდგენილი
ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თაობაზე

5 თებერვალი, 2015 წ.

მწვანე ალტერნატივამ 2014 წლის 11 ივნისს პროექტის განმახორციელებელს წარუდგინა შენიშვნები საჯარო განხილვებისათვის წარმოდგენილ ბსგზშ ანგარიშზე. ამ შენიშვნებიდან ეკოლოგიური ექსპერტიზისთვის წარდგენილ ბსგზშ ანგარიშში არაერთი საკითხია გათვალისწინებულია, თუმცა ფუნდამენტური შენიშვნები კვლავაც გაუთვალისწინებელია და ამდენად, აქტუალური. ქვემოთ წარმოგიდგენთ შენიშვნებსა და კომენტარებს სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტის ეკოლოგიური ექსპერტიზისათვის წარდგენილი ბსგზშ ანგარიშის თაობაზე.

1. ეკოლოგიური ექსპერტიზისთვის წარმოდგენილ ბსგზშ ანგარიშში მოცემულია მხოლოდ დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გამოსაყენებელი მიწის მთლიანი ფართობი. არ არის დაკონკრეტებული, თუ რამდენი ოჯახის საკუთრებაში/სარგებლობაში მყოფი მიწის ნაკვეთის შეძენა მოხდება, არ არის ნათელი მიწათმფლობელების საკუთრების ფორმის შესახებ (აქვთ, თუ არა საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები დარეგისტრირებული, თუ არა, როგორ მოხდება მიწის ნაკვეთების შეძენა?).

აღნიშნულის შესახებ პროექტის განმახორციელებლებს არც საჯარო განხილვის მსვლელობისას ჰქონდათ პასუხი. მწვანე ალტერნატივას წარმომადგენლების და რამდენიმე ადგილობრივი მაცხოვრებლის მიერ დასმულ შეკითხვას, თუ ზუსტად რამდენი პირის საკუთრება აღმოჩნდებოდა პროექტის ზემოქმედების ქვეშ, უპასუხეს, რომ საკითხი ჯერ დაზუსტებული არ არის და ეტაპობრივად (?!) დაზუსტება.

2. ანგარიშის 10.13.4.1 ქვეთავში აღნიშნულია შემდეგი: *„SCP Co. შეეცდება მიაღწიოს შეთანხმებას ზეგავლენის ქვეშ მოყოფ ყველა შესაბამის მიწის მფლობელთან და მოსარგებლესთან (LACF 029); თუ კეთილსინდისიერი მოლაპარაკებებით შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდება, უკანასკნელი საშუალების სახით SCP Co. იძულებული იქნება გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი ნორმები, ისეთი როგორიც არის მაგ. აუცილებელი გზის უფლება, რათა მიაღწიოს სასამართლოს გადაწყვეტილებას მიწის შესყიდვისა და კომპენსაციის თაობაზე; იგივე მიდგომა შეიძლება იქნას გამოყენებული იმ შემთხვევებში, როდესაც მიწის მფლობელის ან მოსარგებლის ადგილსამყოფელი გაურკვეველია“.*

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სამეზობლო სამართლის ერთ-ერთი ნორმის - <u>აუცილებელი გზის უფლების</u> - გამოყენება იმ პირების მიმართ, რომელთანაც ვერ მოხერხდება შეთანხმება, ასევე იმ პირების მიმართ, რომელთა ადგილსამყოფელი არ არის დადგენილი - აბსოლუტურად

მიუღებელია, სამართლებრივი თვალსაზრისით. აღწერილი შემთხვევებისთვის საქართველოს კანონმდებლობა პირდაპირ ითვალისწინებს კონკრეტულ ნორმებს დადგენილს საქართველოს კანონით "აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ". სწორედ ამ კანონით განსაზღვრული პროცედურებით უნდა შეეცადოს კომპანია, მოიპოვოს უფლება მიწაზე ასეთ სადავო შემთხვევებში.

3. მე-5 თავში განხილულია მილების ტრანსპორტირების საკითხი და საუბარია, რომ მილსადენების ტრანსპორტირება შესაძლოა მოხდეს რკინიგზით; შემდეგ კი, 5.4.2.2 ქვეთავში განხილულია შემდეგი: *ამ ეტაპზე მილსადენის დამატებითი დასავლეთის მონაკვეთამდე მილების ტრანსპორტირების ორი ვარიანტი არსებობს: ტრანსპორტირება საავტომობილო გზით რუსთავიდან თბილისის გავლით ან სარკინიგზო გადმოტვირთვის ადგილის განახლება ახალციხეში და მილების ტრანსპორტირება ჯერ მატარებლით, ხოლო შემდეგ 20კმ სიგრძის საავტომობილო გზით სამშენებლო დერეფნამდე".* შემდეგ ანგარიშში არ არის დაზუსტებული, საბოლოო ჯამში, რომელი ვარიანტი იქნა არჩეული.

4. ანგარიშის 10.14.3.1 ქვეთავში „ზემოქმედებები ეკონომიკაზე, დასაქმებაზე, უნარებსა და საარსებო წყაროებზე" გამოვლენილ უარყოფით შედეგებს შორის, დასახელებულია შემდეგი: *„ადგილობრივი დასაქმებულების იმედგაცრუება თუ ისინი არასწორად ჩათვლიან, რომ უცხოელ მუშახელს იგივე სამუშაოსთვის უკეთესი ხელფასი და პირობები აქვს.*". ასევე მე-14 თავშიც, ცხრილი 14-1 მოცემულია შემდეგი: *„პროექტი სავარაუდოდ გამოიწვევს უკმაყოფილებას არათანაბარი პირობების გამო პროექტში დასაქმებულ ადგილობრივ მოსახლეობას და იმ პირებს შორის, რომელთა განცხადები წარუმატებელი აღმოჩნდა, ასევე, <u>ადგილობრივ და უცხოელ დასაქმებულებს შორის არათანაბარი ხელფასებისა და სამუშაო პირობების გამო".</u>* სასურველია, დაზუსტდეს ამ ზეგავლენის მნიშვნელოვნება და ასევე, რა პირობები განსაზღვრავს ერთი და იმავე სამუშაოს შესრულებისას, მსგავსი კვალიფიკაციის მქონე პირების განსხვავებულ ანაზღაურებასა და სამუშაო პირობებს.

5. არ არის ნათელი, დაგეგმილი აქვს, თუ არა პროექტის განმახორციელებელს ზემოქმედების ქვეშ მყოფ სოფლებში რაიმე სახის სოციალური პროგრამები.

6. ბსგზშ ანგარიშშის არატექნიკურ რეზიუმეში მოცემულია შემდეგი: *„შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი აღმოსავლეთის მონაკვეთის შესწავლამ აჩვენა, რომ საკვლევ ტერიტორიაზე წარმოდგენილია ნაკლებად მრავალფეროვანი ფაუნა, თუმცა, დაფიქსირებული იყო საქართველოს წითელი ნუსხის სამი სახეობა – ქართული კუ, ფასკუნჯი და ველის კაკაჩა. ამავდროულად, <u>ნაკლებად სავარაუდოა,</u> რომ ზემოთ მოყვანილი ფრინველების ორი სახეობა ბუდობდეს უშუალოდ მილსადენის მარშრუტსა ან მის სიახლოვეს" (გვ.6)* _ ეკოლოგიური ექსპერტიზისთვის წარმოდგენილი ბსგზშ დოკუმენტი უკვე დასრულებული სახით უნდა უყოს მოცემული, ამდენად, უკვე სრულფასოვნად უნდა იყოს შესწავლილი საპროექტო ტერიტორია და სახეობების იქ არსებობის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ არ უნდა იდგას.